

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2021


მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2021 წლის იანვარი

ძირითადი შედეგები

- მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 0.3 პროცენტით;
- სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.05 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 1.6 პროცენტით;
- მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.7 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით 1.1 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.3 პროცენტით. სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 0.3 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 0.1 პროცენტით. ამასთან, აღსანიშნავია ფასების ზრდა წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე 0.3 პროცენტით, ხოლო დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.5 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაიზარდა 0.3 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების ზრდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 6.0 პროცენტით, ხოლო დასაწყობებისა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 13.9 პროცენტით. ამასთან, ფასები შემცირდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 25.4 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	100.3	0.31
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	106.0	4.70
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	74.6	-4.72
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	113.9	0.31

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2021

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 0.05 პროცენტით. სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები გაიზარდა 0.3 პროცენტით, ხოლო უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები 0.04 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 1.6 პროცენტით. ფასების შემცირება დაფიქსირდა უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (-3.1 პროცენტი). ამასთან, ფასები გაიზარდა სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე (1.0 პროცენტი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	98.4	-1.63
61.2	უსადენო სატელეკომუნიკაციო მომსახურება	96.9	-1.70
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	101.0	0.07

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

19.02.2021

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე წინა თვესთან შედარებით შემცირდა 0.7 პროცენტით. აღსანიშნავია ფასების შემცირება დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 0.6 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე 0.8 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირებულია 1.1 პროცენტით. დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები შემცირდა 10.0 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 2.7 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2021 წლის იანვარში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2020 წლის იანვართან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	98.9	-1.07
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	90.0	-3.23
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	102.7	2.15

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400).

ელფოსტა: gtetrauli@geostat.ge